სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები

მუხლი 1. დეკანის არჩევნების ორგანიზაციული საკითხები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) დეკანის არჩევნებს ატარებს და არჩევნების დღეს აცხადებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო (შემდგომში - ფაკულტეტის საბჭო).

2. არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპებია:

ა) თანასწორი საარჩევნო უფლება;

ბ) ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენა;

გ) კენჭისყრის ფარულობა;

3. არჩევნები ტარდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. თუ ფაკულტეტის დეკანი არის დეკანობის კანდიდატი, მას არ აქვს სხდომის თავმჯდომარეობის უფლება და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის დაწყებამდე ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 2. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველთა განცხადებების მიღების წესი

1. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველი პირი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი, სასურველი თანამდებობის ზუსტი დასახელება.

2. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოდგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) ორი ფოტოსურათი (3X4);

დ) ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია;

ე) ცნობა სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ვ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;

3. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ იგი დადგენილ ვადაში ფაკულტეტის კანცელარიაში სრულყოფილად წარმოადგენს ამ მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

მუხლი 3. კენჭისყრის ორგანიზება

1. კენჭისყრა დეკანის ასარჩევად ტარდება **14.00**-დან **17.00** სთ-მდე ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ არჩევნების დღეს;
2. დეკანის არჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით კენჭისყრის დაწყებამდე ფაკულტეტის საბჭო ღია კენჭისყრით საბჭოს წევრთაგან ირჩევს საარჩევნო კომისიას 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით. მათ შორის 2 (ორი) წევრი არის სტუდენტი. საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შემდეგ ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს დეკანობის სასურველ კანდიდატს;
3. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს არჩევნების პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფარგლებში.
4. საარჩევნო სიაში შედის ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრი. საარჩევნო სიაში მოცემულია ფაკულტეტის საბჭოს წევრის სახელი და გვარი; გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენების შემთხვევაში დგება ამ ყუთით მოსარგებლე ამომრჩეველთა ცალკე სია.
5. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო კომისიის წევრები ფაკულტეტის საბჭოს თანდასწრებით ითვლიან ცარიელ ბიულეტენებს. ბიულეტენების რაოდენობა უნდა უტოლდებოდეს ფაკულტეტის საბჭოს წევრების რაოდენობას, რომელსაც ემატება ათი სარეზერვო ბიულეტენი. სარეზერვო ბიულეტენები გამოიყენება გამოუყენებელი ბიულეტენის დაზიანების შემთხვევაში. გამოუყენებელ ბიულეტენად მიიჩნევა ბიულეტენი საარჩევნო ყუთში ჩაგდებამდე.

მუხლი 4. საარჩევნო ბიულეტენი

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვით და საარჩევნო ყუთში მოთავსებით. ბიულეტენების დაბეჭდვაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის ადმინისტრაცია.
2. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

ა) დაწესებულებისა და ფაკულტეტის სახელწოდება;

ბ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბიულეტენი განკუთვნილია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნებისთვის;

გ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი და მათი რიგითი ნომრების თანმიმდევრობა დალაგებული ანბანის მიხედვით;

3. საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული უნდა იყოს ფაკულტეტის ბეჭდით.

მუხლი 5. საარჩევნო ყუთი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაცია დეკანის არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიის საარჩევნო ყუთით აღჭურვას, რომელიც კენჭისყრის დაწყებამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და ფაკულტეტის საბჭოს წევრები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრთა მიერ ფაკულტეტის საბჭოს წევრების თანდასწრებით.
2. საარჩევნო ყუთი განთავსებული უნდა იყოს კენჭისყრის სხდომის ოთახში თვალსაჩინო ადგილას.
3. საბჭოს იმ წევრებისთვის, რომლებიც ავადმყოფობის გამო ვერ შეძლებენ კენჭიყრის სხდომაზე მოსვლას, გამოყენებული იქნება გადასატანი სარჩევნო ყუთი, რომელიც ასევე ილუქება კომისიის წევრთა მიერ ფაკულტეტის საბჭოს წევრების თანდასწრებით.
4. გადასატანი სარჩევნო ყუთით სარგებლობის შესახებ საბჭოს წევრი არჩევნების წინა დღის 17.00 საათამდე მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს თვამჯდომარეს განცხადებით, რომ ის შეტანილ იქნეს გადასატანი საარჩევნო ყუთით მოსარგებლე ამომრჩეველთა სიაში.
5. გადასატანი საარჩევნო ყუთის ამომრჩეველთან მიტანა ევალება ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის ორ წევრს, რომელთაც დამკვირვებლის სტატუსით შეიძლება ახლდეს ფაკულტეტის საბჭოს წევრი/წევრები.
6. საარჩევნო კომისიის იმ წევრებს, რომელიც პასუხიმგებელია გადასატანი საარჩევნო ყუთის ამომრჩეველთან მიტანაზე, საარჩევნო კომისია გადასცემს:
ა) გადასატანი საარჩევნო ყუთით სარგებლობის მსურველ ამომრჩეველთა სიას;
ბ) საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებს;
გ) დალუქულ გადასატან საარჩევნო ყუთს.

მუხლი 6. არჩევნების პროცედურა

1. დეკანის არჩევა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ფარული კენჭისყრის საფუძველზე;
2. კენჭისყრის სხდომაზე ფაკულტეტის საბჭოს წევრი საარჩევნო კომისიის წევრისაგან იღებს ერთ საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ბიულეტენს ხელი უნდა მოაწეროს საარჩევნო კომისიის ყველა წევრმა (იმ შემთხვევაში თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენება გახდა საჭირო, სხდომაზე მყოფ ამომრჩეველთა ბიულეტენს ხელს აწერს კენჭისყრის სხდომაზე მყოფი საარჩევნო კომისიის 3 (სამი) წევრი, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთით მოსარგებლე ამომრჩევლისათვის გაცემულ ბიულეტენს - საარჩევნო კომისიის ის 2 (ორი) წევრი, რომელებიც პასუხისმგებელი არიან გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენებაზე). შემდეგ ფაკულტეტის წევრი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კუთხეში, აკეთებს

არჩევანს და აგდებს ბიულეტენს საარჩევნო ყუთში. საარჩევნო კუთხედ ითვლება ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება;

3. ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს;

4. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე საარჩევნო კომისიის საქმიანობა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრთა თანდასწრებით.

მუხლი 7. ხმების დათვლა

1. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისია ფაკულტეტის საბჭოს წევრთა თანდასწრებით ხსნის საარჩევნო ყუთს ან ყუთებს (გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენების შემთხვევაში) და ითვლის ბიულეტენების საერთო რაოდენობას. ბიულეტენების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამომრჩეველთა სიაში/სიებში (გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენების შემთხვევაში) ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ხელმოწერების რაოდენობას;

2. ბიულეტენების საერთო რაოდენობის დათვლის შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან დეკანობის თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას;

3. საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:

ა) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის საარჩევნო კომისიის შესაბამის უფლებამოსილ წევრთა ხელმოწერით;

ბ) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

გ) საარჩევნო ბიულეტენი არ შეიცავს მე–3 მუხლის მე–2 და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა რეკვიზიტს;

4. ხმების დათვლის შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შედის შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით;

ბ) კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში/სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ყუთში/ყუთებში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

მუხლი 7[1]. არჩევნების ჩატარების ალტერნატიული პროცედურები (30.04.2020, №33/2020)

1. ქვეყანაში საგანგებო, საომარი ან ისეთი მდგომარეობის არსებობისას, რომელიც ზღუდავს ფიზიკურ პირთა გადაადგილებას, შეკრებას და შესაბამისად წინამდებარე საარჩევნო პროცედურით გათვალისწინებული დებულებების შესრულების უზრუნველყოფას, დეკანის საარჩევნო პროცედურა ფაკულტეტის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების გამოყენებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აუცილებლობის არსებობისას და ფაკულტეტის საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში:

ა) ფაკულტეტის საბჭოს სხდომა ტარდება დისტანციურად, კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;

ბ) მე-2 მუხლით გათვალისწინებული განცხადებისა და განცხადების დანართების წარმოდგენა შესაძლებელია ელექტრონულად, ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრულ შესაბამის ელ. საფოსტო მისამართზე, ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული ფორმატით (წარმოდგენას არ ექვემდებარება მე-2 მუხლის მე-2 პუნტის ,,ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი);

გ) კენჭისყრის პროცედურა ტარდება მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-4 და მე-5 მუხლების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-7 მუხლის 1-ელი - მე-3 პუნქტების დებულებების გათვალისწინების გარეშე, თსუ-ს მიერ შემუშავებული ხმის მიცემის ონლაინ პლატფორმის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ხმის მიმცემის სრულფასოვან იდენტიფიკაციას (მათ შორის პირადობის მოწმობის წარდგენით) და ხმის მიცემის სრულ ფარულობას;

დ) მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემაჯამებელი ოქმი საარჩევნო კომისიის მიერ ივსება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

დ.ა) ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით;

დ.ბ) კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა;

დ.გ) შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით მიღებული ხმების რაოდენობა;

დ.დ) შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით მიღებული ისეთი ხმების რაოდენობა, სადაც გაურკვეველია ხმის მიმცემის არჩევანი ან დადებითი ხმა მიცემულია ერთზე მეტ კანდიდატზე - ბათილი ხმა;

დ.ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

დ.ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

მუხლი 8. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. დეკანის არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

2. დეკანის თანამდებობაზე აირჩევა კანდიდატი, რომელსაც ხმას მისცემს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;

3. იმ შემთხვევაში, თუ დეკანის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთაგან ვერცერთი ვერ მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას, ტარდება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტური გაიმართება იმავე დღეს, არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 1 (ერთი) საათისა. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობენ პირველი ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები. მეორე ტურში გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის ხმების უმრავლესობას.
4. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების პირველ ტურში მონაწილე მხოლოდ ერთადერთი კანდიდატი, ან მეორე ტურში მონაწილე დეკანობის ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას, ფაკულტეტის საბჭო უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით ნიშნავს ხელახალ არჩევნებს არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში.

მუხლი 9. არჩევნების შედეგების გამოცხადება (30.04.2020, №33/2020)

ფაკულტეტის საბჭოს იმავე სხდომაზე კენჭისყრის შედეგების გამოვლენის შემდეგ საარჩევნო კომისია შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე აცხადებს არჩევნების შედეგებს. არჩევნების შედეგები ცხადდება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ფაკულტეტის განყოფილებაში.